სადაც მაღლის წვერისკენ ადუღდა
ჩქარი ღელეები, სადაც მთის ნაკადები ტყეში
ტბორავდა... აქ იყო ჭალა სიზმრისეული ცრემლი მთის,
აქ ლურჯმკრთალი სიუცხოვის ვარსკვლავნი!



# გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი

№21.
2005 წლის
ნოემბერი

გაზეთ «მამულის»
ერთდროული სტუმარი
თქვენს ოჯახებში

ეს ნომერი თავისი აგებულებით არაორდინალურია: სულ ხელით ნაწერები – ზოგი კარგად შენახული, ზოგი გაცრეცილი, ზოგი როგორი კალიგრაფიით, ზოგიც კიდევ როგორით... ცხადია, ყოველივე ამას გალაკტიონის ხელი აკეთებს. ჩვენ კომენტარებს გარკვეული მოსაზრებით არ გავაკეთებთ, ერთი კია, რომ მკითხველს დავტოვებთ გალაკტიონთან, რათა მან მოუთხროს თავის სატკივარზე, სიხარულზე, ოცნებებზე, სურვილებზე, რათა გადაუშალოს წამიერი გაელვებასავით თავისი გული. გაზეთს უცილობლად გალაკტიონის სურნელი და კოლორიტი ასდის. ეს იყო ჩვენი მიზანი.

გველიან ცხენები, ლურჯა ცხენები სისხლიან ველზე გასულები. წყურიათ მხედართა კუნთოვანი მკლავები. შემოგვეპარა დუშმანი, რომელიც კარგა ხანია დათარეშობს ჩვენში. თითქმის თავად ვქცეულვართ საკუთარი თავის მტრებად, რაშები კი ჭიხვინით ასკდებიან უსაგნო სივრცეს, ღრღნიან ლაგამს ჩვენს მოლოდინში და ეწვით სისხლისაგან დაბერილი ძარღვები, ფაფარიც აუყრიათ, თითქოს ცეცხლის ენები მოხვევიათო.

მოჰქრის კი შავი საუკუნის შავი რაში, ვერა აჩერებს რა მის სრბოლას, კვალსაც სისხლიანს ტოვებს. საცაა მისი ფლოქვები გადაითქარუნებს ჩვენს გულებზე, წინაპართა ძვალთშესალაგებზე, ტახტებსა და სასახლეებზე, თან ჩვენი თავის ქალებს გაჭყლეტს, დაგვანთხევინებს ტვინს ბნელ საკუჭნაოში ჩამალულს. ის კი მორბის გაუხედნავი, უტიფარი და უთვისტომო - ქრისტეს შემდეგი ყოფნის საუკუნე ოცდამეერთე.

მერნები გველიან უიმედოდ აღკაზმულები - მერნები ილიასეული ან თუნდაც ბარათაშვილისეული მწუთხე რომანტიით გაჟღენთილნი. გველიან, რამეთუ მხედრობიდან იწყება გზა სულეთისაკენ.

აქ მძვინვარებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ლიუციფერულ ცეცხლოვან რაშთან. გამოდით, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილებო, მიწაში შიშისაგან თუ სიკვდილისაგან ჩამძვრალებო, ტყვიით განგმირულებო... პირველყოვლისა მოვუხმობ ცოცხლებს! იწყება ბრძოლა ყოველი სახლისთვის, ყოველი ქუჩისთვის, ყოველი ქალაქისათვის - ერისთვის. თუკი სიკვდილი გარდაუვალია, მაშინ თავისუფალ სიკვდილს რა სჯობიან?! - ვერც ვერასოდეს ეღირსებით ამდაგვარ ექსტაზს, როცა საკუთარი ხელებით, საკუთარი გონებით ჰქმნი მომავალს. არც არსებობს სხვა გარდაცვალება, გარდა ბარიკადებისა (მე ვუმღერი გარდაცვლილ ბარიკადებს აღმართულებს ჩემს დასაცავად).

გაუმარჯოს სულიერ რევოლუციას, რომელიც მსხვერპლს არ ითხოვს! ეს უნდა იყოს, ეს უნდა გადაიქცეს ამომავალ მზედ ყოველი ჩვენგანისათვის: ბრძოლა იდეისთვის იდეით და არა სისხლით.

ჯერარსმენილი ბარბაროსობით ეცემიან კოშკები, ციხე-ტაძრები, არის კერპთა მსხვრევა, არის ქაოსი - მაგრამ უსისხლო.

არც ღირს არანაირი იდეა, რომელსაც თუნდაც ერთი სიცოცხლე შეეწირება.

ძირს ასეთი რევოლუცია!!!

გამოდით, ჰაეროვანი თავისუფლებისაგან შეზღუდულნო - ზეციურ მშვენიერებას ულვთოდ შეკედლებულო მიწიერო მონებო! ჩამოდით ძირს და იგემეთ ჩვენი რაშისმიერი გაჭენებული ცხოვრება - გზა ჭეშმარიტი ზეცისაკენ, თქვენი კეთილდღეობისთვისაც იქმნება ყოველივე ეს.

რაშები გველიან!

**ჩვენ ხომ გალაკტიონის ლურჯა ცხენების მხედრები ვართ!**

არწივები...

არწივები ბორგავენ, როკვით ეხეთქებიან ცისკიდურს, კლდეებსა და მყინვარებს ელეწებათ მათი ნისკარტები, დაჭრილები ყვავ-ყორნებს ეომებიან, ან თვლემენ, როცა ბრძოლის ქარცეცხლი დაანთონ უნდა. მისი გაორება კი სისხლის ფენომენია, მშვენიერების მკვლელი და სილამაზის გამროსკიპებელი, თუკი თვით არაა მშვენიერება, იგივე ნერონის ჯამბაზური სული ტრიალებს არწივში. მეფური პირფერობა სჩვევიათ მათ, ამით ისინი ბედნიერნი არიან. მე კი ათასწილად ვარჩევდი მსხვერპლთშეწირულთ: „მოდის აგორებულ კუბოს ქარიშხალი და უხვად ნატიფი ასტრალთა მოლბობა, კდემამოსილებით ჩუმად ასვენია. ვაი, მას ვისაც შიგ... სისხლში ათხიპნული ღრეობით მოღელავს. სატირულ ომებში უბიწო გენია უეცრად გაბმულა“.

დღესდღეობით კი ახლებურად მღერიან ძველ სიმღერას:

*„არწივი საქართველოა,*
*ყორნები ჩვენ ვართ ყველაო...“*

არწივიცაა და არწივიც...

თუ რაიმე მხიბლავს მათში, ესაა ტირანიის ნიჭი, გამეფება მიწისზედა სტიქიონებში.

ასეთი არწივი არ მსურს აფრინდეს კოლხ-იბერიულ სივრცეებში - უნდა მოკვდეს ერთხელ და სამუდამოდ იდეა დაჭრილი არწივისა.

მხოლოდ რაშები,
ბედაურები,
მერნები,
ცხენები,
ლურჯა ცხენები გველიან!

ფილოსოფოსნო - მოგვნო ქართული სულიერების მისტერიისა, გზა გაუნათეთ ცხენებს. ჩვენ მივქრით ახალი პირმშოს - ახალი საუკუნის შესაგებებლად. პირველ ყოვლისა მუხლს ვიყრით მათ წინაშე, ვინაც ჩვენამდე შეაბიჯა ამ საუკუნეში, არც ერთი მათგანი ცოცხალი არ არის ახლა:

*„მთაწმინდის პანთეონი*
*სადაც განისვენებს*
*გალაკტიონ ტაბიძე -*
*პოეტი კონტრრევოლუციის,*
*წარმომადგენელი*
*ათასწლეულის“*

ეხლა მაინც აღსდექით ძალათ დაძინებულნო, დილეგების სინესტეში გამომწყვდეულნო, მხატვრებო ბრბოსაგან უარყოფილნო! მოგვადგა კარს შავი სიკვდილი, სანამ გაგვანადგურებდეს, ქუდზე კაცი!

ამიერიდან იწყება სიცოცხლე, რამეთუ ძალაა ჩვენი ნუგეში, ვერ მოგვერევა ასტრალური რაში, რადგან მის სადავეებს ჩვენ დავიჭერთ მძლავრი მკლავებით, ჩვენეულ ენაზე ავამღერებთ დაუმორჩილებელ ამღერებას... (გაუმარჯოს ხელოვნების დიქტატურას ყველა ასპექტში!) ამავდროულად მან ფლოქვები ჩაგვცხო,დიდი ტვინები ათხიპა ქუჩის მტვერში. ტამერლანის მრისხანე პირამიდის დარად უნდა შევქმნათ დიდი ობელისკი, რომელსაც თავისუფლება დაერქმევა ტამერლანთანვე გულგასაგმირად.

ჩვენი რაშები კი სულმოუთქმელად გველიან!

**ჩვენ ხომ გალაკტიონის ლურჯა ცხენების მხედრები ვართ!**

ბედაურზე ამხედრებულნი მივქ-რით დროისა და სივრცის გასატეხად. აი, სრულიად ქართული მხედრობა!

მეფეებო და ტირანებო, ძრწოდეთ! მოვდივართ ერთიანი ძალით, გვეყო თქვენთა ამბავთა მბობა, ჩვენიც მოისმინეთ ამიერით - **ჩვენ ხომ გალაკტიონის ლურჯა ცხენების მხედრები ვართ!**

უცხოეთში გადახვეწილო მხედრებო, შავჩოხიანთა შთამომავალნო, ყველასაგან მივიწყებულო ქაღალდოვანი ჟანგით მოცულო არქივთა მეპატრონენო, დაკარგულთა სახელების სულებო, გამოჩნდით თქვენ აღარავინ გერჩით, მხოლოდ გელიან რაშები, უმხედრო რაშები.

ჩუმი სიუხვით გაჟღენთილო და გამთბარო საფლავებო, დიდთა ისტორიათა თვალითმხილველნო, სულით დაცემულნო და თავმოკლულნო! ისევ და ისევ აღზევდით ზღვის ტალღის დარად მარადიული სიცოცხლის მაცხოვნებლად.

ჩვენს გვერდით ლეგენდასავით მავალო ახალგაზრდობავ! თქვენ ხომ შეგწევთ პატარა შემოქმედის ძალა და მზე არ გიხილავთ, - იხილეთ მზე, დათბით მისი ცხოველმყოფელი სხივებით. იავ, მიწას რომ ეფარები და გეშინიან, შენც გიხმობ, „განა სულ მუდამ მზეა“, მაგრამ ამოდი, იგემე ადამიანის ბედი - სიცოცხლით ტკბობა, სიკვდილით არავინ დაგემუქრება, გაახარე ქვეყანა.

მერცხალო, გვამცნე გაზაფხული. ზამთრის სუსხმა ლამის სიცოცხლის ნექტარი წაიღო. პატარა ჩიტუნიავ, იმღერე აქ, ჩვენსას იმღერე, ნუ იმღერებს ოღონდ გედი, ცრემლსაც ნუ დაღვრის გულდათუთქულს, სანამ ბარიკადები არ დაურბევიათ, სიცოცხლე განიცდის თავის აპოთეოზს.

მათაც მოვუხმობ, ვისაც გარდაუსახავს ათასი ჯურის ცხოვრება ათასგვარი კატაკლიზმებით აღსავსე. ვარდი ვარდია ვარდის ჭკნობამდე... ყველაზე გზაგამრუდებულ ადამიანს ვუხმობ!

ავიჭრათ ასტრალებში და ვეძიოთ საიდუმლოება ღვთიური საწყისისა!

ყველა ცხრაკლიტული გაიღება, ყველა ჯურის ბასტილია აღიგვება პირისაგან მიწისა, ოღონდ ახლა, თუნდაც მხოლოდ ახლა ვიყოთ ერთად, რათა ვერ წაგვაქციოს შვიდთავა და ათრქიანმა ბიბლიურმა მხეცმა. მას კი ძალები ელევა და ჩვენს ფერხთით სულ მალე განუტევებს სულს. დაემხობა ყველა ბასტიონი მტერშეფარებული და არ დარჩება ბნელი, რომელიც არ განათდება და ჩვენ სულიერი ზეიმით შევეგებებით ღვთაებრივი კრავის ტრიუმფალურ მეორედ მოსვლას, რამეთუ **ჩვენ გალაკტიონის ლურჯა ცხენები ვართ.**

ციკლიდან „გალაკტიონი”

# მურმან ლებანიძე

ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა:
იწვა გალაკტიონი და თავისას ფიქრობდა.

აღმართ-აღმართ მდინარე მთაწმინდისკენ დიოდა:
იწვა გალაკტიონი - მოხუცს ბეჭი სტკიოდა.

კონსტანტინე-ბატონთან ლეონიძეც იქ იდგა.
„რა ჰქნა?” - უმისამართოდ ჩიქოვანმა იკითხა.

„რა ჰქნა?” - ახლა ირაკლიმ თქვა და თავი დახარა, -
იმ დღეს ავად მენიშნა ეს ამდენი ჭაღარა...

სდუმდნენ დიდოსტატები, იდგნენ მხრების კანკალით,
დასწყებოდა მთაწმინდას საუკუნის სამკალი.



ალბათ, შუბლიც სტკიოდა - მაინც, მეფურ იერით,
იწვა მკერდბუმბერაზი, ხნიერი და ძლიერი.

რაღაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა:
იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა.

ეს სიკვდილი, ეს დაფნა, ეს მზე ოქროცურვილი -
იყო ეს ყველაფერი მხოლოდ მისი სურვილით.

დირიჟორი თვით იყო! რაც მოხდა და გათავდა
და რაც ახლა ხდებოდა, - მისი ჟინი მართავდა...

ყვავილების მდინარეს რკინის კუბო მიჰქონდა,
იწვა გალაკტიონი, სივრცეებზე ფიქრობდა.

უცბად შავმოვლებული შეჩოჩქოლდნენ დროშები,
უცბად, მამადავითის ბჭესთან შედგნენ მგოსნები:

წინ გვიძღოდა სიკვდილით სივრცეების მხილველი,
მიდიოდა ამაყი და სიკვდილშიც პირველი.

იყო ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის ტალახი,
იყო ფრთხილად გაჭრილი წმინდა ძვალთშესალაგი.

ალაგ სამხარ მიწაში იყო მარტის ამინდით
ტალახში აზელილი უძველესი კრამიტი.

რაღაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა,
იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა.

**ერთი-ორი სხვაც ჰყავდა,**
**ვინც მშობლისთვის იბრძოდა,**
**მაგრამ ვისაც მარხავდა, საქართველომ იცოდა!**





მეფე პოეტების.















[illegible]

[illegible]

[illegible]

სილამაზე,
სილამაზე,
სილამაზე!
[illegible]

[illegible]
სილამაზე,
სილამაზე,
სილამაზე!

[illegible]

[illegible]
სილამაზე,
სილამაზე,
სილამაზე.
[illegible]

[illegible]
სილამაზე, სილამაზე!
[illegible]
სილამაზე, სილამაზე!
[illegible]
სილამაზე....
სილამაზე....
სილამაზე.

გალაკტიონ ტაბიძე

1922.

**„მერის“ პირვანდელი ვარიანტი**

(იბეჭდება პირველად)

შენ იმ ღამეს ჯვარს იწერდი მშვენიერო მერი,
ვინ აღწეროს შენი სახის მაშინდელი ფერი.
ვინ ასახოს მისი იმჟამს უცხო კრთომა და იერი
მაინც ტურფა, მაინც სათნო და უზომოდ მშვენიერი.









ხვალემ იზრუნოს ხვალისა,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა!
ღვინომ მიიღოს ღვინისა,
წყალმა წაიღოს წყალისა!

შეხედე, როგორ ჩქარია
ამქვეყნიური დინება,
შეხედე, რა სიზმარივით
წყალი წყალს მიეზიდება.

არც ვწუხვარ, არც მერიდება
მიმავალ—მომავალისა:
წყალმა წაიღოს დინება,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა!

ხვალემ იზრუნოს ხვალისა,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა!
ღვინომ მიიღოს ღვინისა,
წყალმა წაიღოს წყალისა!











1.

























ქუთაისი
15 მაისი

















## მერანელთა კავშირი.

[illegible]

1955
6 [illegible]



[illegible]





[illegible]



ნაცნობი სივრცეთი მიღმის, ფრთოსნებს
ბაღებში ოცნებს გამოაფხიზლი.
ჩიტები ეკამარის ოცნებებს
მუხლებით სილაშით და ლაჟ მზეში
გასხივებულს მიყურს სურს ეშხნებს
სხეულს ნისლი იქნის ლურჯ-ვარდი
და ლაჟე ცისკარი მოეჩვენება
ლურჯს სევდიანი მოსახვევში
და აი, ვიცი შესავლებში
სხივს ნისლიანი ოქროს ფრენას
ოქრო მეფის მის ლამაზში,
ოქრო ლილის გარინდებს
აჰ, ვინ ეტრფოდა შავბნელის ვარს
და ქარიშხალი ქარვის ფურცლის,
მწვანე, ჩარხ ჰარმონიულ და ზღაპრულის
სტვირთ ლოდინი მოეჩვენება.
მაგრამ სიმღერა შავი ლივლივის
და თვით მზის მოჰქონდა ვით წყვდიადი და
ლოცვით იქვეით სავსე ვარსკვლავით
და სპეტაკის Ave Maria
ეთერის ფერს ერთი მი ერთ ფერის
მაში საქვეთ ფერი, ოცნები
და სტვირის ვარდ მოციქულ ერთ ეჭვის
იქნება მარადი შენი მოხვდა.





ციკლიდან „გალაკტიონი"

# მუხრან საბანიძე

როგორც მწვრთნელი
შიშითა და ძრწოლით
შორიახლოს
ლომს მოჰყვება ბებერს.
რუსთაველზე
მოჰყვებოდა ცოლი
საქართველოს
პოეტების მეფეს.

სტუდენტებმა
მოიხადეს ქუდი
და ღიმილი
მგოსანმს მიაგებეს.
ლუდხანაში
ჩამოუსხეს ლუდი
საქართველოს
პოეტების მეფეს.

ერთი ჭიქით,
ერთი ჭიქით მთვრალი
ჰყვება: „სისხლით
ქრისტესავით მღებეს!"
მთაწმინდისკენ
გაუშტერდა თვალი
საქართველოს
პოეტების მეფეს...

აწ პარნასი
გულში იკრავს სევდით
ბილიკების
შეუშიშარ მძებნელს -
სძინავს ბაღში
სწორუპოვართ გვერდით
საქართველოს
პოეტების მეფეს.



იქ ირჩეოდა
რომელიღაც პოეტის ბწკარი,
უთანხმოებამ
და კამათმა როცა იფეთქა,
გალაკტიონმა
შემოაღო ანაზდად კარი
და ხაზგასმული
მოწიწებით, მახსოვს, იკითხა:

„ოჰ, კრება გაქვთ
პოეტებს, ძამიკო?!"

ვირაც წამოდგა,
იქვე, კართან, ფეხქვეშ გაეგო,
აუხსნა რაღაც.
მან დასტოვა ღიმილის ხურდა.
თავისი დიდი,
რკინის ხელი სულში ჩაგვიყო
და გაგვეცალა -
მას უბრალოდ ხუმრობა სურდა.

მინის ტიხარში -
მალე მაღალ პოეტის ლანდი,
მსვლელობა მისი
დიდებული და ბაღი დაჩნდა:
ბაღში მჯდომისთვის
ტიხარსაქეთ ბინდბუნდად ვჩანდით,
სასახლის ბაღში
ცისფერ მერხზე ის მარტო დაჯდა,

გარეჯიბეში
სავარცხელი მოჩხრიკა ცერით,
უცხო ხილვები
გამოიხმო საყვარელ ბაღში,
დაახლოებით
ასე, ოც წუთს ივარცხნა წვერი,
მერე ადგა და
კმაყოფილმა გასწია სახლში...

გალაკტიონი მობრძანდა,
უცნობ პოეტებს შესცინა.
მაჩაბლის ქუჩით მობრძანდა
და ახლა ბაღში მოჩანდა
წვერმოშვებული ჯეჯილად.
მოვლილი ჰქონდა ზღვისპირი,
წელს ზღვისას წერდა მეტწილად,
ხელთ თვისი უნაბისფერი
მეხუთე ტომი ეჭირა.
მეხუთე ტომი ეჭირა,
რომელსაც წლები შესწირა.
რომელიც ტიტანიური
ტანჯვით სამშობლოს შესძინა.
სასახლის ბაღში მჯდომარემ
ერთ ხანს სათვალე ამშრალა,
მერე ის შუქთამთოვარე
სამეფო წიგნი გაშალა...
ნეტავი იმას რა მოჰკლავს,
ნეტავი იმას რა უჭირს,
„ჩემს პეტრეს ანუ ივანეს!" -
ვისაც მაგ წიგნზე წაუწერს.

* * *

ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ
(ის მთვრალი იყო, როგორც ყოველტვის);
- ბატონო გალაკტიონ, თქვენ პირველი ხართ,
დაგვისახელეთ მეორე პოეტი...
უცებ, ჭინკებით გაევსო თვალი -
თვისი სიმაღლით ის იყო მთვრალი,
- საქართველოში??? - ჩაიქირქილა
და ლომურ წვერზე მოისვა ბრჭყალი...



* * *

მოგიშვია ჟღალი წვერი,
მკლავი დაგიმკლავებია.
მკერდზე გიდევს ცალი ხელი -
ჩანგი აგიფარებია.
გაგილია კოშკი ბროლის,
განძი გაგიპარებია.
- პოეზია პირველ ყოვლის! -
ჩვენთვის დაგიბარებია.

„ლექსის მწერალი ხშირდება,
სამწუხაროა რაიც!
რამდენი რამე სჭირდება
პოეტს, ჩვენს დროში მაინც!" -
ეს კონსტანტინემ, იძრო რა
შაბათს, მწერლების ბაღში,
მგოსნებისაკენ ისროლა
განხეთქილების ვაშლი.
დიდოსტატები სწყალობდნენ
ბაღს, და აქ ისხდნენ ხშირად,
სუროში შაშვი გალობდა,
რაღა თქმა უნდა, ფრთხილად.
სთქვა ბესო ჟღენტმაც: „მრავლდება
დღეს ლექსის მოწადინე,
ცამდის მართალი ბრძანდება
ბატონი კონსტანტინე".
ცოდვილი ვაშლი გაგორდა
და უკვე წასწვდნენ რადგან,
მათ დემნა მიუახლოვდა,
ასე, ორ მეტრში დადგა.
ირაკლიმ ხელი ჩაჰკიდა
ბაღის ბოლოში სიმონს,
გოგლა ხიდს მოდგა გაღმიდან,
შემოუერთდა იმ ორს.
მესამე რანგიც მოხროვდა,
მეორე რანგის გარდა,
და დიალოგზე მოგროვდა
გამსახურდიას სკამთან.
„ლექსის მწერალი ხშირდება,
ლექსი კი არ ჩანს მაინც!
რამდენი რამე სჭირდება
ნამდვილ პოეტს და რაინდს!" -
საკითხი განსახილველად
და ვაშლი ცხვირწინ ედოთ,
და სთქვა ირაკლიმ პირველმა,
ეს გახლდათ მისი კრედო:
„პოეტი წლობით ღვინდება,
მართლა პოეტი თუა!
პოეტს იღბალი სჭირდება
და, რა თქმა უნდა, ჭკუა!
სიმხნე და გამჭრიახობა,
ფხიზლად განჭვრეტა დროთა!
სიბრძნე და პატრიარქობა -
ამას გვასწავლის შოთაც!" -
არ დაეთანხმა ირაკლის
და იუარა გოგლამ:
„სად სიყრმე ყირაყირა ჰქრის,
იქ სიბრძნემ ლექსი მოკლა!
პოეტს ჯერ სიმხნე სჭირდება,
მყვირალობა და ბუკი!
ლექსს ვინ მისცაო დიდება
გარეშე სიჭაბუკის!"
სიმონმა გოგლას ღიმილი
ჰკადრა და მოჰყვა სწრაფად:
„პოეტს სჭირდება ტკივილი,
პოეტს სჭირდება ჯაფა,
სჭირდება ვრცელი გზაშარა,
ბევრი წვა, ბევრი ფიქრი,
ინტელექტი და განსწავლა,
მწიგნობრობა და წიგნი!"
სუროში შაშვმა დასტვინა,
მზე შუბისტარზე იდგა,
ვრცლად აღარავინ არ ცდილა,
მოკლედ მრავალი ითქვა.
თან კვერს უკრავდნენ ირაკლის,
თან თაკილობდნენ თმობას -
მუხრანმა: „გრძნობა სიახლის!"
გრიგოლმა: „ფორმის გრძნობა!"
ალიომ: „მხოლოდ იდეა!"
(კოლაუ იდგა განზე...)
კარლომ თქვა: „საქმე ჰკიდია
წერასთან ერთად ფხაზე!"
სთქვა მარგიანმა: „მარილი
მთავარიაო სვანში!"
სთქვა ნონეშვილმა: „ყვარელი
და სტუდენტობის ტაში!"
თავისთვის იჯდა ჩრდილში,
არას იტყოდა ანა...
- ნიჭი, ძამიკო, ნიჭი! -
გალაკტიონმა ბრძანა.






Александр Блок





ქებათა ქება
ნიკორწმინდას
მაქვს მკერდს მიდებული
ქნარი, როგორც მინდა.
ჩემთვის დიდებული
სხივი გამობრწყინდა.
მკვიდრად ააშენა,
ვინაც ააშენა
და ცით დაამშვენა
დიდი ნიკორწმინდა.
გზნებით დამკარგავი
გრძნეულ ჩუქურთმებით,
ქარგით დამქარგავი
ნაზი შუქურთმებით,
ნეტა ვინ აზიდა,
ან როგორ აზიდა,
რა ხელმა აზიდა
მაღლა ნიკორწმინდა!
რა განძი გვქონია,
რა მხნე, რა მდიდარი,
ჟღერს ქვის ჰარმონია –
დარობს რამდი დარი.
კარგად გამოჰკვეთა,
ვინაც გამოჰკვეთა,
სიბრძნით გამოჰკვეთა
მძლავრი ნიკორწმინდა.
აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ ააგო,
რა ნიჭმა ააგო,
რა მადლმა ააგო
სვეტი – ნიკორწმინდა!
ვგრძნობ, ვით დიადია
თორმეტი სარკმელი,
ხაზებში ანთია
ცეცხლი მისარქმელი:
ნეტა ვინ აანთო,
რომ გრძნობით აანთო
და წლებს გადაანდო
ნათლად ნიკორწმინდა!
ხვეულთ დიადება
ვხედავ – რა უხვია,
დრომ მას დიადემა
კრძალვით შეუხვია.
ნეტა ვინ მოჰქარგა,
და როცა მოჰქარგა,
შიგ მიჰკარგ-მოჰკარგა
გზნება – ნიკორწმინდა!
მკვეთრი და მოქნილი
ხაზთა დასრულება
არის ამოდქმნილი
ნატვრის ასრულება.
ეს ის სიმკვეთრეა,
ეს ის სიმდიდრეა,
რაითაც მკვიდრია
ძეგლი – ნიკორწმინდა!
შენის სულმნათისად
ასვლა ეროვანი:
ყელი გუმბათისა
მაღალღეროვანი,
ცამდის აღერილი,
ნებით აღერილი,
სათნოდ აღერილი,
გშვენის, ნიკორწმინდა!
მზერა ქართულია
სივრცის დაუნჯებით,
თვალი გართულია
ფრთიან ფასკუნჯებით:
ფრთები, ფრთები გინდა,
კიდევ ფრთები გვინდა,
გინდა დაეუფლო
სივრცეს ნიკორწმინდა!
შენ ფრთამოღუღუნეს
ჟამთა სიმაღლეზე,
ჩვენი საუკუნე
გიცავს, უახლესი.
მძლავრი ხელოვნება,
ხალხის ხელოვნება –
ბრწყინავს საქართველოს
ქებად ნიკორწმინდა!

**მთაწმინდის მთვარე**

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!
მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით,
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით
მოსჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე...
ჯერ არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!
აქ ჩემს ახლოს მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით,
ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული...
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...
და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან დამდე ფრთები,
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები;
თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,
თუ როგორ ვგრძნობ,
რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა,
სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა;
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე.
რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,
რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

**მე და ღამე**

ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება,
სიო, სარქმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება.
მთვარით ნაფენს არემარე ვერ იჩილებს ვერცხლის საბანს,
სიო არხევს და ათოკებს ჩემს სარქმლის წინ იასამანს.
ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,
ისე არის სავსე გრძნობით, ვით რითმებით ეს წერილი.
საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,
ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული.
დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჟღავნებ კვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.
რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.
ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიკრს წუთი წუთზე უამესი,
საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და ალერსი.
ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა, და ვერც თასი ღვინით სავსე,
ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სიგრმეში მოვათავსე.
მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარქმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.
იცის - როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე!..

*** * ***

ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ,
რაც დავიწყება გულმა არ ჰგუბოს, -
მაინც მოვიდა ვიღაც გვირგვინით
და შენს უბრალოს ამშვენებს კუბოს.
მიდიხარ... ისე მიგაქვს წვალება,
თითქოს ზღვის კარად თივას თიბავდე.
ვინა თქვა შენი გარდაცვალება?
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე.
მიდიხარ... აღარ დაგემდურება
არც მიწიერი, არც ზეციერი,
ვინა თქვა შენი უბედურება?
არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი.
მიდიხარ... ტკბილი გქონდეს მგზავრობა,
სხვა ბინა მარად იყოს ზღაპარი.
ვინა თქვა შენი მიუსაფრობა?
არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი.
მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს,
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არის,
შენ სივრცეებმა დაგიბინადრეს -
შენ უკვდავების ხარ ბინადარი.

**ჰე, მამულო!**

ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.
სანამ გმირმა შენთვის სული დალია,
სთქვა: „სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!"
არმოშიშარს ქარისა და თოვლისა,
ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება
მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:
მამულს გული, უპირველეს ყოვლისა!
მზე ჩაჰქრება ყველა სისხლისმწოვლისა,
მზე ამოვა ყველა დაჩაგრულისა,
წამლად იქნას ყოველ დაჭრილ გულისა:
გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა!



**დროშები ჩქარა**

გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს - წყარო ანკარა...
დროშები ჩქარა!
დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა,
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...
დროშები ჩქარა!
დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას...
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები... დროშები... დროშები ჩქარა!

**სადღეგრძელო იყოს მისი**

სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც ოცნებით იწვოდა,
ვინც პოეტის მარადისი
აღტაცება იცოდა.
მოდიოდა ერთზე ასი,
გზა გვშვენოდა დიდების,
ჩვენ დავცალოთ ყველამ თასი
ბედთან არდარიდების.
სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც შიშმა ვერ დახარა.
ავდგეთ ფეხზე, ჩვენ თბილისი
ვადღეგრძელოთ ჭაღარა!
აქ სიცოცხლე და ხალისი
ვის სხვად არ ესვენება,
სადღეგრძელო იყოს მისი
და დიდებით ხსენება!

**ლურჯა ცხენები**

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.
მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში,
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!
სიზმარიან ჩვენებით - ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!
იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება:
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;
გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება,
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში.
ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!
ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია!
ეხლა კი სამარეა შენი განსასვენები!
რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!
მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.
მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!

**მერი**

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!
აფეთქებული და მოცახცახე
იწოდა ნათელ ალთა კრებული,
მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე
იყო იდუმალ გაფითრებული.
იწოდა ტაძრის გუმბათი, კალთა,
ვარდთა დიოდა ნელი სურნელი,
მაგრამ ლოდინით დაღალულ ქალთა
სხვა არის ლოცვა განუკურნელი.
მესმოდა შენი უგონო ფიცი...
მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი:
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?
ლოდებთან ვიღაც მწარედ გოდებდა
და ბეჭდების თვლებს ქარში კარგავდა...
იყო ობლობა და შეცოდება,
დღესასწაულს კი ეს დღე არ ჰგავდა.
ტაძრიდან გასულს ნაბიჯი ჩქარი
სად მატარებდა? ხედვა მიმძიმდა!
ქუჩაში მძაფრი დაჰქროდა ქარი
და განუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა.
ნაბადი ტანზე შემოვიხვიე,
თავი მივანდე ფიქრს შეუწყვეტელს;
ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე
ღონე-მიხდილი მივაწექ კედელს.
ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები
აშრიალებდნენ ფოთლებს ბნელხმიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.
და შრიალებდა ტოტი ვერხვისა,
რაზე - ვინ იცის! ვინ იცის მერი!
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა -
ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი.
სთქვი: უეცარი გასხივოსნება
რად ჩაქრა ასე? ვის ვევედრები?
რად აშრიალდა ჩემი ოცნება,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?
ან ცას ღიმილით რად გავცქეროდი,
ან რად ვიჭრდი შუქს მოკამკამეს?
ან „მესაფლავეს" რისთვის ვმღეროდი,
ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ღამეს"?
ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული
და მე ავტირდი - ვით მეფე ლირი,
ლირი, ყველასგან მიტოვებული.

**უსიყვარულოდ**
უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.
მაგრამ სულ სხვაა სიყვარული
უკანასკნელი,
როგორც ყვავილი შემოდგომის
ხშირად პირველს სჯობს,
იგი არ უხმობს ქარიშხლიან
უმიზნო ვნებებს,
არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს
იგი არ უხმობს...
და შემოდგომის სიცივეში
ველად გაზრდილი,
ის გაზაფხულის ნაზ ყვავილებს
სულაც არა ჰგავს...
სიოს მაგივრად ქარიშხალი
ეალერსება
და ვნების ნაცვლად უხმო ალერსს
გარემოუცავს.
და ჭკნება, ჭკნება სიყვარული
უკანასკნელი,
ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ
უსიხარულოდ.
და არ არსებობს ქვეყანაზე
თვით უკვდავება,
თვით უკვდავებაც არ არსებობს
უსიყვარულოდ!

**უკანასკნელი მატარებელი**
ცხოვრების ეტლის სადარებელი
საცაა გავა მატერებელი.
მიემგზავრება იმედი ჩემი
ბედის ვარსკვლავის სადარებელი.
ვიცი, ამ წასვლას რაც ეწოდება, -
რა საჭიროა ახლა გოდება.
მატარებლისგან როს მიმიღია
ან თანაგრძნობა, ან შეცოდება?
მატარებელი თვლემს, როგორც ლავა,
მატარებელი ხუთ წუთში გავა,
ვინც სხვებს აცილებს, დროა ჩასვლისა,
მატარებელი ხუთ წუთში გავა.
აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები,
მივდევ ვაგონებს, მახრჩობს გრძნობები.
გემშვიდობები სამარადისოდ,
სამარადისოდ გემშვიდობები!
ნეტავ ასეთი რად მერგო ბედი, -
ყოველჟამს ვკარგო თითო იმედი,
გამოსალმების ხელოვნებისთვის,
ნუთუ არვინ არს, პოეტის მეტი?

**ატმის რტოო, დაღალულო რტოო**
ატმის რტოო, დაღალულო რტოო,
ატმის რტოო, სიმშვიდეა შორი,
ქარიშხალი მოდის საიმდროო,
ყვავილების ქარში მიქრის ტბორი.
მოცდა არ ღირს, თუ ისევე უცდი,
ამ გრიგალში დრო არ არის სხივის,
დაღალული ყვავილი ხარ სუსტი,
ქარი ყივის, ქარი ყივის, ყივის.
ნაპრალებზე გადაიმსხვრა ნარგი,
ეხლა ზღვაა, ეხლა სისხლის დროა,
თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი...
ატმის რტოო, დაღალულო რტოო...

**ცამეტი წლის ხარ**
ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა
ჭაღარა გულის ზმანება ავი, -
ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,
ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი!
გაივლის კიდევ ცამეტი წელი,
მოახლოვდება გზა ოცდაექვსი,
მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი,
ატირდება დრო და ჩემი ლექსი.
ოჰ, როგორ მიდის ახალგაზრდობა –
დაუნდობელი სურვილი ლომის!
და ყოველივე როგორ ნაზდება,
როცა ახლოა მზე შემოდგომის.

*** * ***
სიტყვა არ წამოგცდეს, რომ შენ დაიღალე,
განზე გადექი და ტყვია დაიხალე.
გული გაიხელე, სისხლით გაიხალე,
ოღონდ არ წამოგცდეს, რომ შენ დაიღალე.
განა ცოტა იყო ჩვენში გატაცება,
ქარში გადავარდნა, ჯვარზე გადაცემა.
ფიქრობ: არ გაწვება, დუშმანს დაეწევა,
უცებ ბრუნდება და სულით დაეცემა.
ბევრჯერ მიზნისთვისაც შეუკურთხებია,
სახე მწუხარებით მიუმწუთხებია...
სიტყვა არ გაბედო, რომ შენ დაიღალე,
განზე გადექი და ტყვია დაიხალე.
გული გაიხელე, სისხლით გაიხალე,
ოღონდ არ გაბედო, - რომ შენ დაიღალე.

**სისხლი**
საშინელია - იგრძნო უეცრად,
რომ აღარ დგანან ძველი კაკლები.
შენი სახელი მათ მიუეცრათ -
მხეცი! - არც მეტი და არც ნაკლები.
რომ მუხლებამდე სისხლის მორევი
გსვრის და მშობლიურ ცხედრებს ეხები,
კმაყოფილი ხარ მათი მორევით,
ყელამდე სისხლში მიდის ფეხები.
შენ გახარებს, რომ სისხლის მიზეზი
ხარ და თანა გდევს ხალხის გოდება,
შენ ბოროტება ხარ უმტკიცესი,
მკვლელი! - ეს არის შენი წოდება.
ო, ყველამ იგრძნო, რომ მოკვდა ყველა,
და ყველა გიცქერს მუნჯი ყვედრებით,
შენგნით არავის არ უნდა შველა,
შენ სამარემდე მიხვალ ცხედრებით.
ო, რა თქმა უნდა, ცხედრები მუდამ
სდუმანო, მაგრამ სისხლი მწარდება,
სისხლი იძახის: მკვლელი, იუდა!
სისხლი არასდროს არ დაწყნარდება!
იმედი, შენი ბრძოლის საგანი,
მოულოდნელმა ქარმა ახვეტა,
მოღუშულია შენი საკანი,
ხვალ უსათუოდ გელის დახვრეტა.

**ბაღთან ძეგლია**
ბაღთან ძეგლია, ცათამდე ადის,
ხელში უჭირავს რა თავის ქალა,
განთიადიდან განთიადამდის
დგას – გარინდება მან დაივალა.
მას გაზაფხული ვარდის ღილებით
რთავს, მოწიწება არ აქვს მონური,
მისთვის ერთია – ეს ყვავილები
ნამდვილი არის თუ ხელოვნური.
ის ლაპარაკობს დროთ საზღვარს იქით
დენონიური, სასტიკი, ხმელი,
და სივრცეებში თანაბრად იგი
შეშლილია და წინასწარმთქმელი.
მაგრამ როს ნისლი გაიფანტება
და ჟამი მოვა ალთა დანთების,
მის წინ ქუჩაზე გაილანდება
მთელი მდინარე დემონსტრანტების.
მასში მიმავალთ ის ხელებს უწვდის,
იგი აქ არის ამ გამთენიას,
ის ეხლავ ხედავს და აღარ უცდის
თავისუფლების მებრძოლ გენიას.

**ახსნა**
ღამეს ელვარე დღე შეუცვლია
თქვენი თვალების ღრმა სიბნელეთი,
ამნაირ გრძნობას ხომ შეუძლია
დაიმორჩილოს მთელი ხმელეთი.
მომკალით! ყოფნა მაინც შუქია
თქვენზე ალმართულ სადღეგრძელოთა,
შეხვედრა ენას ვერ შეუქია,
შეხვედრა განა ასე გველოდა?
თქვენ გაიხსენეთ, ო, გაიხსენეთ,
ო, გაიხსენეთ, ამ სიტყვებს იქით
რამდენი რამე ვერ აგიხსნიათ
ვერც ჩუმი ცრემლით, ვერც ლალის ჭიქით.
რისთვის მიყვარხარ? მე არ მაქვს ნება?
მაგნაირ გულით და სინაზეთი...
არის ამქვეყნად დაგვიანება –
მაგრამ ამდენ ხნით? მაგრამ ასეთი?
არის ამ ქვეყნად ვერხვი და სვია,
არის ამ ქვეყნად სიკვდილი ქალით...
ამ რევორველშიც არის რვა ტყვია,
ერთს გაიმეტებთ: მე გთხოვთ, მომკალით!



**თოვლი**
მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა.
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.
ძვირფასო! სული მევსება თოვლით:
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები.
ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:
იანვარს მოძმედ არ ვეძნელები,
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით მკრთალი ხელები.
ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,
ულუნოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.
იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს
შენი მანდილი ამ უდაბნოში...
ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის
ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ქროლის, მიმოვლის
და ზამბახების წყებად დაწვენა.
თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული სიზმრით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!



**ჰიმნი ქართულ ანბანს**
შენ, რომელიც
მარად მზეებრ გვინათ,
არა გუშინ
გაჩნდი თვალის ჩინად,
არამედ მზით
ამოენთე ბრწყინვად -
ოცდაექვსი საუკუნის წინად..
იმდროიდან
დაწყებული დღემდე -
როს გათენდა,
მზით ანთებულ ზემდეგ,
სერზე აველ,
მთაწმინდაზე შევდეგ
ოცდაექვსი საუკუნის შემდეგ.
შენ სიძველის
გმოსავს ნელი ხავსი,
ქვაზე ჭრილი
ხარ ჩუქურთმის მსგავსი -
დიდის გზნებით
ასე იყავ სავსე
ოცდაექვსი
საუკუნის წინად...
ცხრაასხუთი.
ოქტომბერი. ომი.
ჩემს ახლოს დგას
კაცთ ახალი ტომი.
ხელთ უპყრია
ლექსთა ჩვენთა ტომი -
ოცდაექვსი საუკუნის შემდეგ.
მარადისი
სიახლე გაქვს ორბის,
ხვეულები
გრეხილების ორფის,
გაშვენებდა
ახლის წინამორბედს
ოცდაექვსი საუკუნის წინად...
სევდიანის
და როდესმე ობლის
გულმხურვალე,
როგორც ზრუნვა მშობლის.
ხარ აღმდგენი
ქალაქის თუ სოფლის
ოცდაექვსი
საუკუნის
შემდეგ.
შენით მღერდა
მომღერალი ვეფხვის,
უდარებლად
მცოდნე ლექსის ხერხის.
ეს შრიალი
იყო მრავალ ვერხვის
ოცდაექვსი
საუკუნის წინად...
შენ სიმები
მოგაქვს ჩემი ქნარის,
შენ შეჰხარი
თავისუფალ მხარეს,
შრომას ერთგულს,
თავდადებულს, ცხარეს,
ოცდაექვსი
საუკუნის შემდეგ.
ქალიშვილი
შენით მღერდა ჩონგურს,
შენ ჯერ უშლელს
მაშინ ჰგავდი კოკორს.
აწ სულ სხვა ხარ,
არ იმგვარი, როგორც
ოცდაექვსი საუკუნის წინად...
კვლავ გვინათე,
როგორც ეხლა გვინათ,
რა იყო და
რაა ახალ ბრწყინვად -
ოცდაექვსი
საუკუნის წინად,
ოცდაექვსი
საუკუნის შემდეგ.







# მუსიკა გაზეთში

**სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში**

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე
შემოიღამებს მთის ნაპრალები,
და თუ როგორმე ისევ გათენდა-
ღამენათევი და ნამთვრალევი,
დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან!
ღამენათევი და ნამთვრალევი
მე მივეყრდნობი სალოცავ კარებს,
შემოიჭრება სიონში სხივი
და თეთრ ოლარებს ააელვარებს.
და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი
გედი დაჭრილი ოცნების ბაღით!
შეხედე, დასტკბი ყმაწვილურ ბედის
დაღლილ ხელებით წამებულ სახით!
შეხედე! დასტკბი! ჩემი თვალები,
წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით,-
ღამენათები და ნამთვრალევი
სავსეა ცრემლთა შურისძიებით!
დასტკბი! ასეა ყველა მგოსნები?
შენს მოლოდინში ასეა ყველა?
სული, ვედრებით განაოცები,
შენს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპელა.
სად არის ჩემთვის სამაგიერო?
საბედნიერო სად არის სული?
ვით სამოთხიდან ალიგიერი,
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!
და როცა ბედით დაწყევლილ გზაზე
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!
დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით
გამაქანებენ სწრაფი ცხენები!
ღამენათევი და ნამთვრალები
ჩემს სამარეში ჩავესვენები.
დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე!

**გულო, რა გემართება**

შემოდგომის ყვავილებს
დიდებასთან მივიტან,
ერთი შორი ოცნება
მახსოვს ძველ მოტივიდან.
ვარდები არ არიან,
მაგრამ რა მევარდება?
სულო, რა გემართება?
გულო, რა მოგივიდა?





**ქარი ჰქრის...**

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?..
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!..
შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!..

* * *

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
მიწად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.
იგი ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები.
ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ,
სული მოუვლინე ისევ შენმიერი,
დილა გაუთენე ისევ ციურიდან,
სული უმანკოთა მიეც შვენიერი.
ხანმა უნდობარმა გზა რომ შეელება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,
მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გევედრები.

**ვერხვები**

ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი
და ნისლს მთებისას გაიფენს აფრად,
ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი
აშრიალდება უშორეს ზღაპრად.
ზღაპარი იგი მათრობს და მხიბლავს
ძველი ღვინის სმით, ულონოდ, მძაფრად,
სადღაც დაკარგულ ვარდს და გვირილებს
მოგონებებში ვიჭერ თანაბრად.
ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ
სად, როდის, რისთვის? არ ვიცი, არა!
იყვნენ ოდესღად და მიეძინათ
ღელავს ფოთლების მწყობრი კამარა.
მას შემდეგ ბედი და იალქანი
ქარის სიმძიმით გადაიხარა,
შენ კი სადა ხარ ამდენი ხანი?
რისთვის ან ვისთან? არ ვიცი, არა!
ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ,
ეს იყო ვერხვის ფოთლების კვნესა,
დრომ ყვავილებით დააგვირგვინა,
მე პაჟი ვიყავ, ის კი – პრინცესა.

# მესაფლავე

მესაფლავე, შენ ამბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
ეჰ, არ მჯერა მე ეგ რაღაც... მომაბეზრე კიდეც თავი;
და შეწყვიტე, თუ ღმერთი გწამს, ეგ დაცინვა გულსაკლავი.
ვარდის თვეა, მაისია, ნორჩ ბალახებს სიო არხევს,
ხეებს ყვავილთ თეთრი გუნდი, როგორც თოვლი, ისე აწევს,
მზე ნარნარი სხივებს აფრქვევს და სითბოში მთა-ბარს ახვევს.
ყვავილებით მოქარგულა არემარე მომხიბლავი.
ვერა ხედავ, იმ საფლავზე როგორ ტირის ობლად ქვრივი?
რარიგ შვენის ახალგაზრდა ქალს ეგ სევდა ღვთაებრივი!
განა გუშინ არ იყო, რომ ამ მოკლულმა დარდით ქალმა
ცრემლი ღვარა, როცა სატრფო ცივ სამარეს მიესალმა.
დღესაც იგი იმ სამარეს გულმოკლული დაჰქვითინებს,
დღით არ იცის მოსვენება და ღამითაც არ იძინებს.
მოვა ხოლმე და დაჯდება ცივ სამარის გაშლილ ქვაზე,
დარდით არის გაჟღენთილი მისი ულვთო სილამაზე;
თმას გაიშლის, დაემხობა და ცრემლები სცვივა, სცვივა...
სულს მიშფოთებს ეს ქვითინი, გული მტკივა, გული მტკივა!
მაგრამ რა ვქნა? მესაფლავე, ჩუმად იყავ, უგდე ყური...
გესმის, გესმის, როგორ კვნესის დაღლილი და უბედური? -
„გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება,
არ მეღირსოს კვალარეულს სიმშვიდე და მოსვენება.
შენი სახე გულს კაწრავდეს, როგორც ვიყო, სადაც ვიყო
თუ როდისმე არ მახსოვდე, თუ როდისმე დაგივიწყო!"
მესაფლავე, კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
აი, თუნდაც, გალავნისას მესაფლავე აღებს კარებს;
ახალგაზრდა ვინმე ვაჟი კიდევ სატრფოს ასამარებს.
გულმოკლული ძვირფას კუბოს არ სცილდება, არ შორდება,
განა როსმე სხვა ამგვარი სიყვარული მეორდება?
უსაზღვროა მისი სევდა, უსაზღვროა მწუხარება,
და გადმოსჩქეფს გულმოკლულ ვაჟს თვალთგან ცრემლთა მდუღარება.
ფიცით ამბობს: „ოჰ, შეშფოთდეს სამარეში ჩემი ძვლები,
არ ათბობდეს ჩემს სამარეს გაზაფხულის მზის სხივები,
გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება,
არ მეღირსოს კვალარეულს სიმშვიდე და მოსვენება;
შენი სახე გულს კაწრავდეს, სადაც ვიყო, როგორც ვიყო,
თუ როდისმე არ მახსოვდე, თუ როდისმე დაგივიწყო!"
მესაფლავე, კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმწუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
ის ქალი კი, წეღან რომ ვთქვი, ისევ მოდის თმაგაშლილი
და სამარეს დაუვიწყარს თავს ადგება, ვით აჩრდილი,
ხელში ვარდის მთელი ბუჩქი, ჯერ ისევე დაუმჭკნარი,
მოაქვს, რომ მით დაამშვენოს სამარისა თეთრი ჯვარი.
ოჰ, ეს ქალი, ალბათ, დარდით ყვავილივით ჭკნება, ჭკნება...
სევდას სახე დაუფარავს და სიყვითლე ეპარება.
საცოდავი! თვალებსაც კი დასჩნევია უძილობა, -
ასე ხდება, როცა ღამით მოგონებებს იწვევს გრძნობა!
ეხლა? ეხლა კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმწუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
და ის ვაჟიც, გუშინწინ რომ მიაბარა სატრფო საფლავს,
არ სცილდება სასაფლაოს, სევდიანს და გულმოსაკლავს;
სახე თაფლის სანთელს უგავს, სანთელივით დნება, დნება,
თავს დასცქერის დაუვიწყარს, გლოვის სიტყვას ეუბნება.
მის თვალებსაც დასჩნევია ღამის თევა, უძილობა, -
ასე ხდება, როცა ღამით მოგონებებს იწვევს გრძნობა!
მესაფლავე, კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმწუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
დღეს იმ ქალმა გულმოკლულ ვაჟს უნებურად მოჰკრა თვალი;
გაიფიქრა: „ისიც ჩემებრ ტირის ცრემლებშეუმშრალი;
უძიროა კაცის სევდა, უძიროა კაცის გული,
რას არ ითმენს სიყვარულის ცხოველ ნათელს მოკლებული", -
ასე ამბობს სევდიანი ქალის ცისფერ თვალთა ცქერა.
ალბათ, ვაჟსაც ამ უსიტყვო ცქერამ გული აუძგერა...
ასე იცის თანაგრძნობამ... შენ კი ისე იღიმები,
თითქოს მართლა იბმებოდეს იმათ შორის ის სიმები,
რომლის ძალით ორი გული სამუდამოდ შეერთდება...
ეჰ, არ მჯერა მე ეგ რაღაც, ქვეყნად ეგრე როდი ხდება.
როცა ფიცით აცილებენ მიცვალებულს სამარემდე,
ფიცს არ სტეხენ...
ფიცს არ სტეხენ უკანასკნელ ყოფნის დღემდე.
გამიგონე, მესაფლავე, შენ არ იცი კაცის დარდი,
თორემ რაა - ჩემს თქმაზე რომ სულელივით ახარხარდი?!
რა ვუყოთ, რომ იმ ვაჟმა ქალს მოუტანა ნორჩი ვარდი
და მწუხარედ წასჩურჩულა: „შემიყვარდი, შემიყვარდი.
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, შევაერთოთ სულთან სული...



გამომყევი, ქალო, ცოლად... ძლიერი მაქვს სიყვარული...
მართალია, ის სატრფონი არც შენ, არც მე აღარა გვყავს,
მაგრამ მათი მოგონება ვერ გაარღვევს უხმო საფლავს.
დავივიწყოთ ის წარსული, სატირალი, სავალალო,
და ახალი შევქმნათ ყოფნა... გამომყევი ცოლად ქალო!"
დაუცადე, მესაფლავე, თუ რა პასუხს მისცემს ქალი.
შენ გგონია, რაკი ვაჟმა დაივიწყა თავის ვალი,
ქალიც ასე მოიქცევა? მე მგონია - არა არა...
განა გუშინ არ იყო, რომ სატრფო მიწას მიაბარა?
მკვდრის აჩრდილთან ვინ იცინის,
მკვდრის აჩრდილთან ვინ იხუმრებს?
აი, ნახავ - აბეზარ ვაჟს რა პასუხით გაისტუმრებს!
მაგრამ ქალი, ღმერთო ჩემო,
მორცხვად თავს ხრის და ჩურჩულებს:
„თანახმა ვარ! ერთადერთი, მომავალი მასულდგმულებს...
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, ნუ ვიგონებთ დროს უბედურს,
მე შენი ვარ სამუდამოდ... წამიყვანე, სადაცა გსურს"...
მესაფლავე, ეხლა კი გაქვს ნება, რაც გსურს, კვლავ იგი თქვა...
სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა.
ალბათ, ქალ-ვაჟს დღეს ერთი აქვს ბინა... ხედავ, გადის ხანი,
არ ნახულობს სასაფლაოს დღეს არც ერთი იმათგანი,
საფლავთაგან მტვერს და ბალახს დღეს არავინ არ აცილებს
და მოვლასთან ერთად ფერი წართმევია ვარდ-ყვავილებს...
განისვენეთ, განისვენეთ დავიწყებულ არსთა ძვლებო...
თქვენს ყოფნაში არ ერევა ცოცხალთ ფიქრი საარსებო...
გენისვენეთ, ძლიერი და უკვდავია თქვენი ძილი...
რაღად უნდათ, რად სჭირიათ
თქვენს საფლავებს ვარდ-ყვავილი?
ან რას გარგებთ მოკვდავ კაცთა სამუდამო ცრემლთა ფრქვევა?
ძილით ველარ გამოგარკვევთ ვერრა ძალა, ვერც შემთხვევა...
ასე ხდება ქვეყანაზე - ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება
და ვაი მას, ვის სიკვდილი სიცოცხლეშიც ავიწყდება...
ზარსა სცემენ... იმ ორს, რომელთ დაივიწყეს ბედი მწვავე,
იმ ორს ერთად გადავერცხლილ კუბოში სჭედს მესაფლავე...
სჭედს და რაღაც მწარე ფიქრზე თან ველურად იღიმება -
იცის, იცის მესაფლავემ, როგორც უნდა... როგორც ხდება...
განისვენეთ, განისვენეთ, დავიწყებულ არსთა ძვლებო,
თქვენს ყოფნაში მე ბევრი მაქვს მწუხარე ჟამს საოცნებო!




ორ-კვირეული
სამხატვრო-სალიტერატურო
გამოცემა
„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი".
რედაქცია.
192 წ.
№







– ,,კაცი იმედით ცოცხლობსო‘‘...

ჩვენც ცარიელად ვტოვებთ ამ გვერდს, იმ იმედით რომ ახლო მომავალში ამ ლექსით ,,განახლებული აფხაზეთის‘‘ სურათს შემოგთავაზებთ!



ლექსი **გალაკტიონ ტაბიძის**
მუსიკა **იოსებ ბობოხიძის**
ნოტის რეპროდუქცია **ლალი გიორგაძის**

# ვერხვები






E7 Am A7 Dm
ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი
Am/E E7 Am
და ნისლს მთებისას გაიფენს აფრად,
E7 Am A7 Dm
ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი
Am/E E7 Am
აშრიალდება უშორეს ზღაპრად.
Dm7 G7 C
*მის:* ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი
Am Dm7 E7 Am
აშრიალდება უშორეს ზღაპრად.

ზღაპარი იგი მათრობს და მხიბლავს
ძველი ღვინის სმით, უღონოდ, მძაფრად,
სადღაც დაკარგულ ვარდს და გვირილებს
მოგონებებში ვიჭერ თანაბრად.
მის: ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი
აშრიალდება უშორეს ზღაპრად.
მას შემდეგ ბედი და იალქანი
ქარის სიმძიმით გადაიხარა,
შენ კი სადა ხარ ამდენი ხანი?
რისთვის ან ვისთან? არ ვიცი, არა!
ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ,
ეს იყო ვერხვის ფოთლების კვნესა,
დრომ ყვავილებით დააგვირგვინა,
მე პაჟი ვიყავ, ის კი — პრინცესა.




მიდიხარ... აღარ დაგემდურება
არც მიწიერი, არც ზეციერი,
ვინა თქვა შენი უბედურება?
არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი.

# გაზეთ „მამულის“ ქართული სტუდია

გთავაზობთ ქართულ ფილმებს სახლში მიღებით

- არაჩვეულებრივი გამოფენა
- ბედურების გადაფრენა
- სამოთხის ბვრიტები
- ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი
- დავით გურამიშვილი
- დღე უკანასკნელი დღე პირველი
- დათა თუთაშხია
- ბებერი მეზურნეები
- დიდოსტატის მარჯვენა
- ვერის უბნის მელოდიები
- თეთრი ბაირაღები
- კიდევ ერთი ქართ. ისტორია
- კეთილი ადამიანები
- გზა მშვიდობისა ჯაყო
- თოჯინები იცინიან
- კოჯრის ტყის სიზმრები
- იმერული ესკიზები
- მაცივარში ვიღაც იჯდა
- მე, ბებია, ილიკო და ილარიონი
- მერცხლები და ბედურები
- ოცნებების სასაფლაო
- პირველი მერცხალი
- პილიგრამობა ევროპიდან იერუსალიმამდე
- რაც გინახავს ვეღარ ნახავ
- რაჭა ჩემი სიყვარული
- როცა აყვავდა ნუში
- სამანიშვილის დედინაცვალი
- სიყვარული ყველას უნდა
- საბუდარელი ჭაბუკი
- საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი
- ოთარაანთ ქვრივი
- პირველი სიყვარულის შვიდი ისტორია
- ხევსურული ბალადა
- წითელი პატეფონი
- ჩემი მეგობარი ნოდარი
- მარადისობის კანონი
- ქართული სამზარეულო
- ქართული მულტფილმები 1,2
- „არტ-იმედი“ კრებული
- აჭარა მიუზიკლ-ჰოლი
- თეიმურაზ წიკლაური
- დათო ხუჯაძე
- ივერიას იუბილე
- ივერია – ფიროსმანი
- იუმორინა 2004
- იუმორინა „ოქროს შემოდგომა“
- იუმორინა 2005
- ანსამბლი „კელაპტარი“
- ნანი ბრეგვაძის იუბილე
- ნატო გელაშვილი
- მღერის ნინო ქათამაძე
- ანსამბლი „რუსთავი“
- ვახტანგ ტატიშვილის იუბილე
- ქართული ვიდეო-კოქტეილი
- ქართული კლიპები
- ფრიდონ სულაბერიძე-60
- ჯემალ სეფიაშვილი
- საახალწლო ამბავი 2002
- აბეზარა
- ბაში-აჩუკი
- ფეოლა*
- ფესვები
- ჭრიჭინა
- არსენა
- თხუნელა
- კუკარაჩა
- ლაზარე
- ლაქა
- აღდგომა
- მამლუქი
- მანანა
- განაჩენი
- გარიგება
- ლოლიტა
- მიმინო
- ლონდრე
- ნერგები
- ნინო
- სერენადა*
- სპირალი
- ქაჯანა
- ქვევრი*
- რეკორდი*
- შნო*
- შერეკილები
- ფიროსმანი
- ჩარი-რამა
- მონანიება
- პასპორტი
- ჩვენი ეზო
- მოდი ნახე
- წიგნი ფიცისა
- მოკვეთილი
- ნატვრის ხე
- ნუცას სკოლა
- მაცი ხვიტია
- ხევისფერი გოჩა
- ხარება და გოგია
- წერილი ნაძვებს
- არსენას ლექსი
- ცისკრის ზარები
- ღიმილის ბიჭები
- ცეკვა ზღაპარში
- ჩაკლული სული
- უძინართა მზე
- ცისფერი მთები
- ქალაღდის ნავი
- ქეთო და კოტე
- ღვინის ქურდები*
- სხვისი შვილები
- მაია წყნეთელი
- აკაკის აკვანი
- გლადიატორი*
- მზე შემოდგომის
- ჯარისკაცის მამა
- კუჩხი ბედნიერი
- გლახის ნაამბობი
- კვალი ნათელი
- გიორგი სააკაძე
- უდიპლომო სასიძო
- მთვარის მოტაცება
- მხიარული რომანი

ფილმის ღირებულებაა 10$, ვარსკვლავით აღნიშნული მოკლემეტრაჟიანი ფილმის ღირებულება 5$, საფოსტო მომსახურეობა ნებისმიერი რაოდენობის შეკვეთაზე 4$, უნდა მონიშნოთ თქვენთვის სასურველი ფილმის უჯრედი, შეავსოთ ეს ანკეტა, ამოჭრათ, დაურთოთ ჩეკი ან მანი ორდერი IRINE MUMLADZE-ს სახელზე და გამოგზავნოთ:

______________________
(თქვენი სახელი და გვარი)

______________________
(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

______________________
(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

GEORGIAN Studio
614 Lawler PL.
Phila, PA 19116
(267)
474-9273

# ექსკურსიები ვაშინგტონში









– გთავაზობთ სატრანსპორტო და საექსკურსიო მომსახურეობას შეერთებული შტატების დედაქალაქში 4-კაციანი ჯგუფებისათვის;

– მგზავრთა გადაყვანა ხდება ჯიპის მარკის ავტომანქანებით;

– მგზავრებს მოემსახურებათ თარჯიმანი და ფოტოკორესპონდენტი;

– ექსკურსია ერთდღიანია და ამ პერიოდში თქვენ შეგეძლებათ ისეირნოთ ვაშინგტონის ქუჩებში, დაათვალიეროთ ლინკოლნის მემორიალი, ვაშინგტონის მონუმენტი, მეორე მსოფლიო ომის ახალგახსნილი მემორიალი, ჯეფერსონის მემორიალი, გარედან ნახოთ თეთრი სახლი, კაპიტოლიუმის შენობა (11 სექტემბრის შემდეგ თეთრ სახლში ტურისტების შესვლა აკრძალულია).

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

347-724-0770



სურვილი მაქვს გამოვიწერო გაზეთის:

- ☐ 12 ნომერი ღირებულებით 24 დოლარი
- ☐ 12 ნომერი ევროპაში 50 დოლარი

გამოიწერეთ

______________________
(სახელი და გვარი ბეჭდური ასოებით)

______________________
(ქუჩის დასახელება, აპარტამენტის N)

______________________
(ქალაქი ZIP-CODE და ტელეფონი)

ჩეკი ან მანი ორდერები M. KATCHAKHIDZE სახელზე გაფორმებული უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე: P.O. BOX 13121, JERSEY CITY, NJ 07303

მისამართის შეცვლის შემთხვევაში საჭიროა დაგვიკავშირდეთ რედაქციაში 1-609-517-2278 და გვაცნობოთ, რათა შევძლოთ თქვენი გაზეთის შეყოვნება ან გადამისამართება. 21

**<u>1 იანვრიდან</u> გაზეთი „მამული“ განახლებულ ფორმატში, ახალი რუბრიკებით, დისკუსიებით, ამერიკული ცხოვრების ამსახველი რეპორტაჟებით! დაელოდეთ!**

# KAVCAS EXPRESS

## გადაზიდვები



საჰაერო

- აშშ-დან საქართველოში კილოგრამი - $6.7
- საქართველოდან აშშ-ში კილოგრამი $8

ნებისმიერი დოკუმენტაციისა და მასალის თარგმნა და ნოტარიზირება



**შეუკვეთეთ ასლოპლეჯს ჩვენი მეფუფოკით**

ქორწილი, დაბადების დღე, ძეობა, დღესასწაული...



საზღვაო

აშშ-დან საქართველოში კგ - $4

აშშ: 1(201)333-2200
თბილისი: (995) 32 952-609
ბათუმი: (995) 99 491-992

www.gezi.us
www.carbycar.com

---

**ქვირფასო თანამემამულენო!**

თვისტომი TVISTOMI ASSOCIATION

გაიხსნა ახალი **ქართული სამედიცინო ოფისი ბრუკლინში,** სადაც ხორციელდება სრული სამედიცინო გამოკვლევა უახლესი აპარატურით!

გამოკვლევები ხორციელდება უახლესი დიაგნოსტიკური აპარატურითა და მეთოდებით, მაგნიტორეზონანსული, რადიო-იზოტოპური და ულტრაბგერითი აპარატურის გამოყენებით, ამასთანავე ჩაგიტარებთ სისხლისა და შარდის სრულ ლაბორატორიულ ანალიზებს, კომპიუტერულ ტომოგრაფიას, უფასო მამოგრაფიას (მკერდის გამოკვლევა) ძვლების სიმყიფის განსაზღვრას.

სამედიცინო ჯგუფში გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიცირებული ქართველი და ამერიკელი ექიმები რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ აშშ-ს სხვადასხვა კლინიკებში და დღეს თქვენს სამსახურში არიან! ჩვენი თანამემამულეთათვის ფასები მაქსიმალურად დაბალია. მათთვის, ვისაც სამედიცინო დაზღვევა არა აქვს, გამოკვლევები ჩაუტარდებათ **60-70 %** -იანი ფასდაკლებით!!!

**ჩვენი ფასები ყველაზე დაბალია!!!**

# 718-263-5323

მიღება წინასწარი ჩაწერით

2 ვესტ ენდ ავენიუ, ბრუკლინი, მანჰეტენ ბიჩი (არხთან და ბრაიტონთან ახლოს), აპარტმენტი №3

---




ადგილი, სადაც ნამდვილი ქართველი ქართველობენ!

თქვენთვის მღერის **ნუგზარ ძნელაძე**

1724 Avenue Z, Brooklyn, NY 11235
718-769-2909

ყოველთა ქართველ ემიგრანტთა გაზეთი ამერიკიდან

მამული

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE

Phone: 609-517-2278
mamuli@comcast.net

P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

ახალი დასავალი
საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ახალი-დასავალი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით
კოსტავას 14, V სართული, თბილისი, 0108
ტელეფონი: 98-97-21

აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. ნებისმიერი კონტრმოტივაცია ძალაშია ნომრის გამოსვლიდან 7 დღის მანძილზე. მიიღება და რედაქციის საკუთრებაში რჩება მხოლოდ კომპაქტური კორესპოდენცია, რომლის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება. გაზეთიდან მასალის გადაბეჭდვა ნებადართულია მხოლოდ მთავარი რედაქტორის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში „მამულის“ მოხსენიების აუცილებელი პირობით.

ბრუკლინსა და ფილადელფიაში


ნუკრი კაპანაძე


მამუკა ონაშვილი


თამარ გეგეჭკორი


გურამ ჯაში


მზია კვირიკაშვილი


ზურა დოიჯაშვილი

დაგვიკავშირდით:
NY-ში 718-615-1500,
347-528-0037, 347-451-9435,
Phila-ში 215-677-9337,
267-253-7008

26 თებერვალი, შაბათი, საღამოს 7 საათზე
თეატრი „მილენიუმი“ ბრუკლინში
1029 Brighton beach ave, Brooklyn, NY
27 თებერვალი, კვირა, საღამოს 7 საათზე
**Restaurant GOLDEN GATE**
11058 Rennard st, Philadelphia, PA 19116